"დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
_____ ს. ტეფნაძე
09 _____ 2021
დადგენილება № 05/01

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
დასაქმების და კარიერული განვითარების სტრატეგია

ძირითადი ასლი

1 სარჩევი

1 სარჩევი 2

i. ცვლილებები 3

ii. ცვლილებების ისტორია 4

iii. მოქმედი გვერდების სია 5

2 დოკუმენტაციის კონტროლი 6

3 შესავალი 7

4 სტრატეგიის მიზნები და ამოცანები 8

4.1 დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების განვითარება 8

4.2 კურსდამთავრებულთა ქსელის განვითარება 9

4.3 დასაქმებისა და კარიერული წინსვლისთვის საჭირო სერვისების განვითარება 10

5 მონიტორინგი და ანგარიშგება 11

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
დასაქმების და კარიერული განვითარების მენეჯერი	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				**დამატებული გვერდი**			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
0	1	0	თებერვალი 2021					
1	2	0	თებერვალი 2021					
i	3	0	თებერვალი 2021					
ii	4	0	თებერვალი 2021					
iii	5	0	თებერვალი 2021					
2	6	0	თებერვალი 2021					
3	7	0	თებერვალი 2021					
4	8	0	თებერვალი 2021					
4	9	0	თებერვალი 2021					
4	10	0	თებერვალი 2021					
5	11	0	თებერვალი 2021					

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
დასაქმების და კარიერული განვითარების მენეჯერი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დასაქმების და კარიერული განვითარების სტრატეგიას, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად და უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, მიზნად ისახავს უნივერსიტეტსა და დაინტერესებულ მხარეებს (აბიტურიენტები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პერსონალი, დამსაქმებლები) შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, რაც თავის მხრივ მოიაზრებს, როგორც დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას, მხარეების ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას, ასევე მათი ინტერესების შესაბამისი დასაქმებისთვის და კარიერული განვითარებისთვის საჭირო პროდუქტების/სერვისების განვითარებას. სტრატეგიის შექმნასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ევალება დასაქმების და კარიერული განვითარების მენეჯერს. სტრატეგიის მიზნობრივი ჯგუფებია:

- უნივერსიტეტის სტუდენტები;
- აკადემიური პერსონალი;
- აბიტურიენტები და მათი მშობლები;
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები;
- დამსაქმებლები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები;

4 სტრატეგიის მიზნები და ამოცანები

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს დასაქმების და კარიერული განვითარების კუთხით დასახული აქვს შემდეგი მიზნები და ამოცანები

4.1 დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების განვითარება

სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმების და კარიერული განვითარების მიმართულებით, დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, დამსაქმებლებთან და პარტნიორ კომპანიებთან ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმების განვითარება აუცილებელი ინსტრუმენტია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დამსაქმებლების/პარტნიორი კომპანიების ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი საგანამანათლებლო პროგრამების, ასევე პრაქტიკული კომპონენტების შემუშავებასა და განვითარებაში. ახალი მემორანდუმების და შესაბამისად, სტუდენტებისთვის პრაქტიკული ობიექტების რაოდენობის ზრდა, მათი თეორიული ცოდნის განმტკიცების და მომავალი დასაქმებისთვის ხელისშემყობი ფაქტორი იქნება. კომუნიკაციის და ერთობლივი მუშაობის მეტი ეფექტურობისთვის აუცილებელია დამსაქმებლების/პარტნიორი კომპანიების კვლევა, შედეგების ანალიზი და მუდმივად განახლებადი ბაზის შექმნა, რაც გაამარტივებს კომუნიკაციას და სტუდენტებისთვის სტაჟირებების/ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ამ მიმართულებით, გარდა ჩატარებული კვლევებისა, აუცილებელია დამსაქმებლებთან შემაჯამებელი შეხვედრების ორგანიზება, სადაც განიხილება, როგორც უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებული რეკომენდაციები, ასევე სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის საკითხები.

სტრატეგიული ამოცანა(ები)	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
1. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება/განახლებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ზრდა	დასაქმების და კარიერული განვითარების სტრატეგიული გეგმა სტრატეგიის დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობა	2021 წ. 2021 წ.
2. საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე პრაქტიკული კომპონენტების შემუშავებასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ზრდა	საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე პრაქტიკული კომპონენტების შემუშავებასა და განვითარებაში ჩართული მხარეების რაოდენობა	2021-2027 წწ.
3. დამსაქმებელთა/პარნიორ კომპანიათა მუდმივად განახლებადი ბაზის შექმნა და განახლება	დამსაქმებელთა/პარნიორ კომპანიათა ბაზა დამსაქმებელებთან/პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობის ზრდა	2021-2027 წწ. 2021-2027 წწ.

	პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის ზრდა	2021-2027 წწ.
4. დამსაქმებელთა/პარტნიორ კომპანიათა კვლევა და შემაჯამებელი შეხვედრები	დამსაქმებელთა/პარტნიორ კვლევაში მონაწილეობის რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა შემაჯამებელი შეხვედრები	2021-2027წწ. 2021-2027წწ.

4.2 კურსდამთავრებულთა ქსელის განვითარება

კურსდამთავრებულთა ქსელის განვითარება და მათი მხარდაჭერა უნივერსიტეტის დასაქმების და კარიერული განვითარების ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რაც ხორციელდება შემდეგი ამოცანების შესრულებით: კურსდამთავრებულთა მუდმივად განახლებადი ბაზის შექმნით და განახლებით, მათი კარიერული წინსწვლის ხელშეწყობის მიზნით, მათი საჭიროებების შესწავლით და წარმატებული კურსდამთავრებულების საუნივერსიტეტო საქმიანობაში ინტეგრაციით. კურსდამთავრებულთა მუდმივად განახლებადი ბაზა, ერთის მხრივ, გაამარტივებს მათი დასაქმების მაჩვენებლის მონიტორინგს და მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის დასაქმების და კარიერული განვითარების მენეჯერსა და კურსდამთავერბულს შორის კომუნიკაციას, თუნდაც ინდივიდუალური კონსულტაციისთვის ან/და არსებული ვაკანსიების/სტაჟირებების მიწოდებისათვის. წარმატებულ კურსდამთავრებულთა ინტეგრაცია საუნივერსიტეტო საქმიანობაში სტუდენტების მოტივაციის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია.

სტრატეგიული ამოცანა(ები)	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
1. კურსდამთავრებულების მუდმივად განახლებადი ბაზის შექმნა	კურსდამთავრებულების ბაზის შექმნა და მუდმივად განახლება	2021-2027 წწ.
2. კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით მათი საჭიროებების შესწავლა	უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში მონაწილე კურსდამთავრებულთა კმაყოფილების მაჩვენებელი	2021-2027 წწ.
3. წარმატებულ კურსდამთავრებულთა ინტეგრაცია საუნივერსიტეტო საქმიანობაში	წარმატებულ კურსდამთავრებულებთან შეხვედრების რაოდენობა კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი	2021-2027 წწ. (წელიწადში ორჯერ) 2021-2027 წწ.

4.3 დასაქმებისა და კარიერული წინსვლისთვის საჭირო სერვისების განვითარება

სტუდენტთა დასაქმების და კარიერული წინსვლისთვის საჭირო სერვისებში, პირვლ რიგში, მოიაზრება არსებული ვაკანსიების/სტაჟირებების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სხვადასხვა ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება, იქნება ეს სხვადასხვა ტრენინგები, ვორქშოფები, ინდივიდუალური კონსულტაციები, დასაქმების ფორუმები თუ სხვა. მექანიზმის მეტი ეფექტურობისთვის, აუცილებელია სტუდენტთა პერიოდული გამოკითხვა და მათი კმაყოფილების დონის გაგება აღნიშნულ სერვისებთან მიმართებაში.

სტრატეგიული ამოცანა(ები)	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
1. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ვაკანსიების/ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მნახველთა რაოდენობა	2021-2027წწ.
2. კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების ჩატარება	სტუდენტთა კმაყოფილების დონე აღნიშნულ სერვისებთან მიმართებაში	2021-2027წწ.
	კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების რაოდენობის ზრდა	2021-2027წწ.
	უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული დასაქმების ფორუმების რაოდენობა	2021-2027წწ.

5 მონიტორინგი და ანგარიშგება

თითოეული ამოცანის შესრულების დონის განსაზღვრისათვის აუცილებელია შესაბამისი სტატისტისტიკური ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და მიღებული შედეგების საფუძველზე ანგარიშის მომზადება, რომელშიც ასახული იქნება განხორციელებული საქმიანობა, გამოყენებული რესურსები და მიღებული შედეგები. ანგარიშს მმართველის საბჭოს შეხვედრაზე წარადგენს დასაქმების და კარიერული განვითარების მენეჯერი, ხოლო მმართველი საბჭო, მიღებული შედეგების საფუძველზე შეაფასებს სტრატეგიის ეფექტურობას და საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტს წინამდებარე სტრატეგიაში კონკრეტული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.